

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი



დემოკრატიის განვითარებისთვის მთელ მსოფლიოში

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები

2008 წლის 5 იანვარი

საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში

საქართველოს საპრეზიდენტო
არჩევნები
წლის 5 იანვარი

საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის
საბოლოო ანგარიში



საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი

1225 Eye Street, NW, Suite 700

Washington, DC 20005

www.iri.org

შინაარსი

I.	შესავალი	3
II.	წინასაარჩევნო პერიოდი	5
ა.	პოლიტიკური სიტუაცია 2007 წლის ნოემბერი – 2008 წლის იანვარი	
ბ.	2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატები	
გ.	საარჩევნო პერიოდი	
III.	საარჩევნო პერიოდი	13
ა.	წინასაარჩევნო შეხვედრები	
ბ.	არჩევნების დღე	
IV.	დასკვნები და რეკომენდაციები	19
V.	დანართები	25
ა.	IRI-ის (აშშ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი) წინასწარი განცხადება საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ	
ბ.	არჩევნების სადამკვირვებლო დელეგაციის წევრები	
გ.	IRI საქართველოში	

I. შესავალი

2008 წლის იანვარში საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩატარდა მეორე საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დანიშნა რიგგარეშე არჩევნები და მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ 2007 წლის ნოემბერში ქუჩაში ჩატარებული ოპიზიციის საპტოტესტო აქციის დარბევის შემდეგ. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტმა მმართველობა გადააბარა პარლამენტის სპიკერს, ნინო ბურჯანაძეს, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. საერთაშორისო საზოგადოება ინტერესით ადევნებდა თვალყურს ამ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას. ამასთან ერთად საერთაშორისო ინტერესს იწვევდა ორი პლემბისციტის შედეგებიც. პირველი პლემბისციტი განსაზღვრავდა საპარლამენტო არჩევნების თარიღს, ხოლო მეორე საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ რეფერენდუმის შედეგებს.

არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით, IRI-მ გამოაგზავნა 26 დელეგატისგან შემდგარი სადამკვირვებლო მისია, რომელშიც შედიოდნენ ჩეხეთის რესპუბლიკის, ლიტვის, პოლონეთის, უკრაინისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. დელეგატები დააკვირდნენ 120-ზე მეტ საარჩევნო უბანს ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ბათუმში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), ქუთაისში (იმერეთის რეგიონი), ფოთში, რუსთავში (ქვემო ქართლის რეგიონი), გორი (შიდა ქართლის რეგიონი), თელავში (კახეთის რეგიონი), თბილისსა და ზუგდიდში (სამეგრელოს რეგიონი).

ამ ანგარიშში შეჯამებულია IRI-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წინასაარჩევნო, არჩევნების

დღესთან და არჩევნების შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული დასკვნები. აგრეთვე ამ ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები საარჩევნო კანონისა და საარჩევნო ადმინისტრაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

II. წინასაარჩევნო პერიოდი

ა. პოლიტიკური სიტუაცია 2007 წლის ნოემბერი – 2008 წლის იანვარი

საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა 2008 წლის 5 იანვარს. თავდაპირველად ამ არჩევნების ჩატარება დაგეგმილი იყო საპარლამენტო არჩევნებთან ერთად 2008 წლის შემოდგომაზე. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება დააჩქარა 2007 წლის 2-7 ნოემბერს თბილისში ჩატარებულმა საპროტესტო აქციებმა. ეს პროტესტი მოჰყვა სააკაშვილის რეჟიმის მიმართ უკმაყოფილებას, რამაც ნაწილობრივ კიდევ უფრო გააღვივა ყოფილი თავდაცვის მინისტრისა და პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირის, ირაკლი ოქრუაშვილის, მიერ მთავრობის წინააღმდეგ გაკეთებულმა ბრალდებებმა. თავიდან აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ საპარლამენტო არჩევნების 2008 წლის ოქტომბრიდან აპრილში გადატანას, რაც შემდეგ გადაიზარდა სააკაშვილის გადაყენების მოთხოვნაში. იანვრის არჩევნებმა წარმოაჩინეს კომპრომისი, რომელმაც სააკაშვილს მისცა საშუალება ვადამდგარიყო და ხელმეორედ წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა ხალხისგან ახალი მანდატის მისაღებად.

პოლიტიკური კრიზისი დაიწყო 2007 წლის 25 სექტემბერს. ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა, სააკაშვილის რეჟიმს საჯაროდ წაუყენა ბრალდება „ყოველდღიურ რეპრესიებში, სახლებისა და ეკლესიების ნგრევაში, მოქალაქეთა ძარცვასა და მკვლელობებში“. ორი დღის შემდეგ 2007 წლის სექტემბერში ოქრუაშვილი დააკავეს გამოძალვის, ფულის გათეთრებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად

გამოყენების ბრალდებით. მისი დაკავების შემდეგ საქართველოს ოპოზიციამ მოითხოვა ოფიციალური ახსნა-განმარტება ოქრუაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით და მოემზადა ფართომასშტაბიანი დემონსტრაციებისთვის. ამ პერიოდში 10 ოპოზიციური პარტია და მოძრაობა გაერთიანდა საქართველოს ერთიან ნაციონალურ საბჭოში, რათა საქართველოს მთავრობისგან მოეთხოვათ ცვლილებები.

17 ოქტომბერს ოპოზიციამ გამოსცა პოლიტიკური მანიფესტი. ამ მანიფესტში ისინი ითხოვდნენ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასა და პოლიტპატიმრების ამნისტიას. ამის საპასუხოდ მთავრობა წავიდა უმნიშვნელო რეფორმებზე, მათ შორის საპარლამენტო ბარიერის შედიდან ხუთ პროცენტამდე შემცირებაზე და ერთჯერადი სოციალური დახმარების გადახდის სახით დამატებით 60 მილიონი აშშ დოლარის მოსახლეობის თითქმის ორი მესამედისთვის განაწილებაზე. ოპოზიციამ განაცხადა, რომ მთავრობის რეაქცია იყო არაადეკვატური და გააგრძელებდა მასობრივი მიტინგების ჩატარებას.

2 ნოემბერს, თბილისში საქართველოს 35,000-ზე მეტი მოქალაქე შეიკრიბა პარლამენტის შენობის წინ, რათა საჯაროდ გამოეხატათ თავიანთი მოთხოვნები. ზოგმა ლიდერმა მოითხოვა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომაც. ორი დღის განმავლობაში მომიტინგეთა რაოდენობა იყო დიდი. 2007 წლის 7 ნოემბერს საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხოლოდ რამდენიმე ასეული დარჩა პარლამენტის წინ და მთავრობამ გადაწყვიტა გაეხსნა მთავარი პროსპექტი, რომელიც აქციის მონაწილეებს ხუთი დღის განმავლობაში გადაკეტილი ჰქონდათ. იმავე დღესვე, დილით ადრე პოლიციამ დაშალა რამდენიმე ათეული მონაწილე,

რომელთაც ღამე თბილისის მთავარ პროსპექტზე გაატარეს. ნაშუადღევს აქციის მონაწილეთა რიცხვმა იმატა. მათ გაარღვიეს პოლიციის კორდონი, რათა გაეგრძელებინათ მიტინგი. საბოლოო ჯამში პოლიცია შეცვალა სპეცდანიშნულების რაზმმა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებით, წყლის ჭავლით, ცრემლსადენი გაზით და აკუსტიკური დანადგარებით. მათ ნაბრძანები ჰქონდათ აქციის მონაწილეების ძალის გამოყენებით დაშლა. საინფორმაციო წყაროების მიხედვით იმ დღეს საავადმყოფოებში მიყვანილ იქნა 250-მდე ადამიანი ცრემლსადენი გაზით მოწამვლის შემთხვევებით და სხვა დაზიანებებით.

მთავრობის მიერ განხორციელებული თავდაპირველი დარბევის შემდეგ საპროტესტო აქციის მონაწილეებმა დაიწყეს მდინარე მტკვრის სანაპიროზე შეკრება. დემონსტრაციის ზოგიერთმა ლიდერმა ხალხს მოუწოდა რევოლუციისაკენ და მოითხოვა პრეზიდენტ სააკაშვილის ძალადობრივი მეთოდით გადაყენება. სპეცდანიშნულების პოლიციამ აქაც დაშალა დემონსტრაცია. ამის შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. პოლიციამ აგრეთვე დახურა იმედის სატელევიზიო სადგური, ხოლო სასამართლომ მათი ქონება დააყადაღა და ტელემაუწყებლობის მფლობელს, ბადრი პატარკაციშვილს, წაუყენა ბრალდება აჯანყებასა და რევოლუციის მომზადებაში. ყველა სხვა ტელეარხებს აეკრძალათ საინფორმაციო პროგრამების მაუწყებლობა. 8 ნოემბერს პარლამენტმა ჩაატარა კენჭისყრა საგანგებო მდგომარეობის 23 ნოემბრამდე გაგრძელების მიზნით, რაზეც ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა ბოიკოტი გამოაცხადეს.

ამავდროულად სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ მთავრობა ჩაატარებს საპრეზიდენტო არჩევნებს 2008

წლის შემოდგომის ნაცვლად 2008 წლის 5 იანვარს. რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 2007 წლის 25 ნოემბერს პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგა თანამდებობიდან. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე.

16 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობა მოიხსნა. 4 დეკემბერს აკრძალვა მოეხსნა იმედის ტელევიზიას და მათ მიეცათ ტელემუწეობის განახლების ნებართვა მიუხედავად იმისა, რომ იმედის სტუდია იყო მძიმედ დაზიანებული. არჩევნების გამოცხადების შემდეგ 22-მა კანდიდატმა აკრედიტაციისთვის ოფიციალურად მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო). 22 კანდიდატიდან მხოლოდ შვიდის განაცხადი დამტკიცდა, ხოლო დანარჩენ კანდიდატებს 50,000 კანონიერი ხელმოწერის ვერწარდგენის საფუძველზე ეთქვა უარი. საარჩევნო ბიულეტენში თანმიმდევრობის მიხედვით ამ შვიდ კანდიდატთა სიაში შედიოდა ერთიანი ეროვნული საბჭოს კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე, ოლიგარქი ბადრი პატარკაციშვილი, ახალი მემარჯვენეების კანდიდატი დავით გამყრელიძე, ლეიბორისტული პარტიის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი, ყოფილი პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, მომავლის პარტიის კანდიდატი გია მასისაშვილი და იმედის პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

არჩევნებამდე სულ ერთი კვირით ადრე, 24 დეკემბერს გამოქვეყნდა ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წევრების შეხვედრებისმათ შორის პარლამენტის წევრის, ვალერი გელბახიანისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის საუბრების ჩანაწერები, შესაძლო სახელმწიფო გადატრიალებასა და ასევე საარჩევნო პროცესის არალეგიტიმურად

ცნობის მიზნით საპროტესტო აქციის მონაწილეთა მოსყიდვასთან დაკავშირებით. თავად პატარკაციშვილმა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირს სავარაუდოდ დიდი ოდენობის ფულადი თანხა შესთავაზა შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, ლიკვიდაციის ან მისი დაპატიმრების მიზნით და ამ საქმისადმი ისეთი სახის მიცემა თითქოსდა ადგილი ჰქონდა ფართომასშტაბიან თაღლითობას. ამ განცხადებების შემდეგ პატარკაციშვილი საარჩევნო კამპანიას გამოეთიშა, თუმცა მოგვიანებით, არჩევნებამდე სულ ორი დღით ადრე, მან ხელმეორედ გაანახლა თავისი მონაწილეობა ამ პროცესში. ამ ჩანაწერების გამოქვეყნებას მოჰყვა ახლად აღდგენილი იმედის ტელევიზიის თანამშრომლების სამსახურის მასობრივი დატოვება. ჟურნალისტთა უმრავლესობამ პროტესტის მიზნით სამსახური დატოვა და განაცხადა, რომ მათი პროფესიული ობიექტურობა შელახულ იქნა ტელეკომპანიის მფლობელის ქმედებების შედეგად. ამ მოვლენების შემდეგ, საარჩევნო კამპანიის ბოლო კვირას, იმედის სატელევიზიო არხმა სრულიად შეწყვიტა მაუწყებლობა.

ბ. 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატები

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარეს შემდეგმა კანდიდატებმა:

1. ლევან გაჩეჩილაძე – ერთიანი ეროვნული საბჭო
2. არკადი- ბადრი პატარკაციშვილი – დამოუკიდებელი კანდიდატი
3. დავით გამყრელიძე – ახალი მემარჯვენეები

4. შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია
5. მიხეილ სააკაშვილი – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
6. ვია მაისაშვილი – მომავლის პარტია
7. ირინა სარიშვილი-ჭანტურია – იმედის პარტია

გ. საარჩევნო კამპანიის პერიოდი

IRI ყურადღებით ადევნებდა თვალყურს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს საინფორმაციო მედიის, საარჩევნო კომისიებთან და პოლიტიკურ პარტიებთან რეგულარული შეხვედრების, საარჩევნო კამპანიებისა და ქვეყნის ყველა რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის გზით. IRI-ის უკრაინის ოფისის წარმომადგენლები არჩევნებამდე 30 დღის განმავლობაში იყვნენ გრძელვადიანი დამკვირვებლების სტატუსით. ისინი რეგულარულად მოგზაურობდნენ საქართველოს რეგიონებში და ადგილობრივ დონეზე აფასებდნენ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას. IRI-მ შენიშნა საარჩევნო კამპანიების კონკურენტუნარიანი გარემო და ჯანსაღი საჯარო დებატების შესაძლებლობა. ყველა კანდიდატი ეწეოდა აქტიურ საარჩევნო კამპანიას და ხვდებოდა ამომრჩევლებს საქართველოს ყველა რეგიონში. თუმცა იყო ისეთი საკითხებიც, რომლებიც კვლავაც პრობლემატური რჩებოდა - იყო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და არადაბალანსებული მედია პოლიტიკა ყველა კანდიდატისათვის.

- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება ზოგჯერ გაურკვეველი იყო ჩვეულებრივ სამთავრობო ხარჯებსა და ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ დანახარჯებს

შორის ზღვარი. IRI ფლობდა ინფორმაციას, რომ არჩევნებამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე რეგიონები უზრუნველყოფილ იქნა ახალი სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობებით და მოხუცებულებსა და უმუშევრებს მთავრობისგან დაურიგდათ ჯანდაცვის ვაუჩერები.

- მედიის ხელმისაწვდომობა
იმ დროს როცა ყველა კანდიდატს ყველა ეროვნულ სატელევიზიო არხებზე მიეცა თანაბარი უფასო დრო და ფასიანი საშუალებების შესყიდვის თანაბარი უფლება, გაჩნდა კითხვები ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ მედიის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ბურჯანაძის, ტრადიციულ საახალწლო მიმართვას რომელსაც ტელევიზია მთელი ქვეყნის მასშტაბით გადმოსცემს საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხზე, მოჰყვა სააკაშვილის სატელევიზიო მიმართვა სამეგრელოს რეგიონიდან (რომელიც ესაზღვრება გამიჯნულ აფხაზეთის რეგიონს). გაუგებარია, ყოფილმა პრეზიდენტმა არჩევნების წინ როგორ მიიღო უფლება ერის მიმართ ოფიციალური მიმართვა გაეკეთებინა.

III. საარჩევნო პერიოდი

ამ ანგარიშის მიზნებისათვის საარჩევნო პერიოდი მოიცავს სადამკვირვებლო მისიის ხანგრძლივობას, რომელიც ჩატარდა 2008 წლის 2 იანვარიდან 7 იანვრამდე.

თბილისში ჩამოსვლისთანავე დელეგაცია დაესწრო საარჩევნო პროცესსა და საქართველოში პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით გამართულ ერთდღიან ბრიფინგს. ბრიფინგს ესწრებოდნენ წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან, აგრეთვე ადგილობრივი ჟურნალისტები და წარმომადგენლები თითოეული კანდიდატის საარჩევნო კამპანიიდან.

2008 წლის 4 იანვარს IRI-ის დამკვირვებლები ქვემოთ მითითებულ ქალაქებსა და რეგიონებში განაწილდნენ: ახალციხე (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) ბათუმი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), გორი (შიდა ქართლის რეგიონი), ქუთაისი (იმერეთის რეგიონი), ფოთი, რუსთავი (ქვემო ქართლის რეგიონი), თელავი (კახეთის რეგიონი), თბილისი და ზუგდიდი (სამეგრელოს რეგიონი).

ა. წინასაარჩევნო შეხვედრები

დელეგატებმა თავიანთ შესაბამის რეგიონში ჩასვლისთანავე მოაწვევეს მთელი რიგი შეხვედრები ადგილობრივი პარტიების თანამდებობის პირებთან, სამოქალაქო საზოგადოების „ახალი თაობა ახალი ინიციატივის“ (NGNI) წარმომადგენლებთან და კანდიდატების კამპანიის აქტივისტებთან. ამ შეხვედრებზე დელეგატთა გუნდებმა მიიღეს უახლესი ინფორმაცია თითოეული რეგიონის შესახებ და

ასევე საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ საარჩევნო უბნებს, რაც სავარაუდოდ არჩევნების დღეს უფრო გააძლიერებდა დაკვირვების უზრუნველყოფას.

IRI-ის დამკვირვებლებმა დაადგინეს, რომ იმ დროს როცა პოლიტიკური კლიმატი საკმაოდ დაძაბული იყო, კანდიდატთა ოფისების ყურადღება გამახვილებული იყო წინასაარჩევნო კამპანიებზე. ადგილობრივი საარჩევნო კამპანიების ოფისები როგორც ჩანდა კარგად იყვნენ ინფორმირებულნი მათი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. ადგილობრივი საარჩევნო კამპანიების ოფისებიდან არანაირი სერიოზული დარღვევების შესახებ ინფორმაცია არ შემოსულა, გარდა იმისა, რომ არაკანონიერად იყო გამოყენებული სახელმწიფო რესურსები სოციალური პროექტების განხორციელების მიზნით და ძვირფასი ფასიანი მედიის საშუალებების ხელმოუწვდომობა.

ბ. არჩევნების დღე

არჩევნების დღეს დელეგატები თავიანთ პირველ საარჩევნო უბნებზე გამოცხადნენ დილის 6 სთ.-სა და 30 წთ.-ზე, საათნახევრით ადრე საარჩევნო უბნის გახსნამდე (დილის 8სთ. და 00 წთ.). ისინი დაესწრნენ კომისიის წევრების ვალდებულებების გადანაწილებასთან დაკავშირებით ჩატარებულ ლატარეას, ცარიელი საარჩევნო ყუთების დალუქვასა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ბიულეტენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ოქმების ხელმოწერას. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით მთელი დღის განმავლობაში დელეგატთა ჯგუფები მიდიოდნენ საარჩევნო უბნებზე და მათი იქ დარჩენის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა საჭიროების მიხედვით. თითოეულმა ჯგუფმა მოახერხა

რვიდან თორმეტამდე საარჩევნო უბანზე მისვლა და დაკვირვება.

დელეგატები თავიანთ ბოლო საარჩევნო უბანზე მივიდნენ საღამოს 7 სთ.-სა და 30 წთ.-ზე, დახურვამდე ნახევარი საათით ადრე. ისინი აკვირდებოდნენ იცავდნენ თუ არა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ხმისმიცემის პროცესის სათანადოდ დასრულების, ხმების ტაბულაციის (იმ უბნებზე, სადაც ხმის დათვლა უკვე დამთავრებული იყო), საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის ოქმებისა და ბიულეტენების მიწოდების პროცედურებს. IRI-ის დამკვირვებლების დასკვნით საარჩევნო პროცესი სავსებით აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს. ატმოსფერო იყო მშვიდობიანი და წყნარი იმასთან შედარებით, რასაც ბევრი ადგილობრივი დამკვირვებელი მოელოდა.

IRI-ის დამკვირვებელთა ჯგუფი მოხარული იყო აღენიშნა, რომ იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებიც თოვლიან ამინდში მთელი დღის განმავლობაში მოდიოდნენ საარჩევნო უბნებზე თავიანთი ხმის დასაფიქსირებლად, იყო საკმაოდ მაღალი. საერთაშორისო დამკვირვებლების გარდა ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე განათავსა თავისი დამკვირვებლები. პოლიტიკური პარტიები იმსახურებენ ქებას მათი გულმოდგინებისა და იმ წვლილისთვის, რომელიც მათ შეიტანეს ამ არჩევნებზე დაკვირვებასა და მის ადმინისტრირებაში.

ყველაზე გავრცელებული პრობლემები, რომლებიც IRI-ის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, ეხებოდა ან ამომრჩეველთა მიერ არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო ახალ ტექნოლოგიებს, ან კითხვის ქვეშ მყოფი ზღვარი პარტიის წევრების კანონიერ

მოტივაციასა და ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენას შორის.

აგრეთვე პრობლემატური აღმოჩნდა უხილავი შესაშხურებელი სითხის გამოყენება, მრავაჯერადად ხმის მიცემის თავიდან ასაცილებლად. IRI-ის დამკვირვებლებმა ქუთაისსა და თელავში შეამოწმეს შესაშხურებელი საშუალება და აღმოჩნდა, რომ ის არა მხოლოდ ადვილად გადადის სხვა ადამიანის ხელებზე, არამედ ადვილად მოშორებადია. ბევრმა სადამკვირვებლო ჯგუფმა შენიშნა, რომ ამომრჩეველთა ხელები უყურადღებოდ ან საერთოდ არ მოწმდებოდა საარჩევნო უბნებზე შესვლის დროს. აგრეთვე საეჭვო იყო ვიდუო კამერების გამოყენება, რომლებიც აკონტროლებდნენ კენჭისყრის პროცესს ისეთი ქალაქების ცენტრებში, როგორიცაა თბილისი, გორი და ქუთაისი. თითოეული საუბნო საარჩევნო კომისია განსხვავებულად ხსნიდა მოწყობილობის გამოყენების წესს. საუბნო საარჩევნო კომისიის ვერც ერთმა თავჯდომარემ ვერ ახსნა კამერის გამოყენების წესი, მუშაობდნენ თუ არა ისინი სათანადოდ, ან ვისთვის უნდა მიემართათ მათი გაუმართაობის შემთხვევაში (როგორც დამკვირვებლებს უთხრეს ჩამწერ მოწყობილობებთან დაკავშირებით მათ უნდა მიემართათ ან საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის ან რეგიონული ქვეკონტრაქტორისთვის).

IRI-ის დამკვირვებლებმა ზოგიერთ რეგიონში შენიშნეს დოკუმენტების გარეშე მყოფი პარტიის დამკვირვებლები ან გაურკვეველი პირები, რომლებიც ამომრჩევლებს საარჩევნო უბანში შესვლისთანავე მათ სახელებს ეკითხებოდნენ. ეს პირები ამომრჩეველთა სახელებსა და პასპორტის მონაცემებს იწერდნენ. უცნობია, იყო თუ არა ეს უკიდურესად აგრესიული Get-Out-the-Vote-ის

კამპანია თუ ამომრჩეველზე ზეგავლენის პირდაპირი ფორმა.

2007 წლის უკრაინის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, გადასატანი საარჩევნო ყუთების გამოყენება ხორციელდებოდა გამჭვირვალედ და განსაზღვრული გზით, გარდა მცირედი გამონაკლისი შემთხვევებისა. იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებში დარეგისტრირდნენ იყო ძალიან მაღალი. 50 პროცენტზე მეტ საარჩევნო უბნებს ჰყავდათ დამატებით ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა. ამ ამომრჩევლებს ხმის მისაცემად ჰქონდათ წითელი კონვერტები და სწორედ ეს გახდა ბევრ საუბნო საარჩევნო კომისიაში უკმაყოფილების საგანი ხმების დათვლის დროს. გაურკვეველი იყო, უნდა დაეთვალიათ ასეთი საარჩევნო ბიულეტენები დაუყოვნებლივ თუ არა, თუ უნდა გაეგზავნათ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის. ბევრი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი კარგად არ იცნობდა საარჩევნო კოდექსში შეტანილ ახალ ცვლილებებს, რომელიც ითვალისწინებდა ასეთი ბიულეტენების დათვლის წესს. ხმების დათვლის დროს გამოცდილების არქონამ გამოიწვია არეულობა, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის ცხარე კამათში გადაიზარდა იმასთან დაკავშირებით, თუ რაოგორ უნდა მოპყრობოდნენ ასეთ საარჩევნო ბიულეტენებს. გამოცდილებისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების ცოდნის არქონამ საგრძნობლად შეაფერხა ხმის დათვლის პროცესი და გამოიწვია ის, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა თავიანთი შედეგების შესახებ ანგარიში მხოლოდ არჩევნების შემდგომ პერიოდში გააკეთეს.

IV. დასკვნები და რეკომენდაციები

IRI-ის სადამკვირვებლო მისია თვლის, რომ 2008 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები სავსებით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, ტექნიკური პრობლემები კვლავ ზეგავლენას ახდენს საარჩევნო პროცესზე.

IRI-ს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში ანალიზი გაუკეთა არჩევნებისა და საარჩევნო სისტემის ძლიერ და სუსტ მხარებს მთელი სისრულით და იძლევა შესწორებებთან დაკავშირებულ შემდეგ რეკომენდაციებს:

1. ფაქტი: IRI-ის სადამკვირვებლო მისია სისტემატურად აღრიცხავდა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისგან მიღებულ საჩივრებს "წითელი კონვერტების" დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით. ესეთი კონვერტები ეძლეოდათ იმ ამომრჩევლებს, რომლებიც არჩევნების დღეს დარეგისტრირდნენ საარჩევნო უბანზე. მათი მხრიდან აგრეთვე იყო ბრალდებები "წითელი კონვერტებით" მანიპულირებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არ იყო ნათლად განსაზღვრული "წითელი კონვერტების" გამოყენების და დათვლის პროცედურა.

რეკომენდაცია: იმ გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ არჩევნებზე, პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს არჩევნების დღეს რეგისტრაციასთან დაკავშირებული საერთო მეთოდი და ეს უნდა განხორციელდეს 2008 წლის გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებამდე რაც შეიძლება

ადრე. საჭიროა არჩევნების დღეს „წითელ კონვერტების“ დათვლასთან დაკავშირებული პროცედურების საკითხთა გარკვევა. დებულება, რომლის მიხედვითაც საარჩევნო უბნის კომისია „წითელი კონვერტების“ დათვლის პასუხისმგებლობას გადასცემს ცესკოს, ამოღებულ უნდა იქნას საარჩევნო კოდექსიდან. ამგვარად „წითელი კონვერტების“ დათვლის პასუხისმგებლობა დაეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას.

2. ფაქტი: IRI-ის სადამკვირვებლო მისიამ აღრიცხა ამომრჩეველთა არასწორ სიებთან დაკავშირებული საჩივრები. ყველაზე ხშირი იყო შემდეგი შემთხვევები: დუბლირებული ამომრჩევლები, ამოუცნობი რეგისტრაციის ან სიაში გამოტოვებული ამომრჩევლები და სიაში არსებული გარდაცვლილი პირები. ამ უზუსტობებმა პრობლემები შეუქმნა ზოგიერთ ამომრჩეველს.

რეკომენდაცია: ამ საკითხების მოსაგვარებლად IRI-ის რჩევით პარლამენტმა უნდა განიხილოს შესაბამისი კანონდებლობა, რომლის თანახმადაც ცენტრალური საარჩევნო კომისია შექმნის ამომრჩეველთა სახელმწიფო, კომპიუტერიზებულ მონაცემთა ბაზას. ამომრჩეველთა მუდმივი რეესტრის საშუალებით შესაძლებელი გახდება ამომრჩეველთა შესახებ ინფორმაციის განახლება (ქორწინება, გარდაცვალება, არჩევნებში მონაწილეობის უფლების ასაკი, მისამართის შეცვლა, უცხოეთში საცხოვრებლად წასვლა და ა.შ.). ასეთი რეესტრის საშუალებით ადგილობრივ საარჩევნო უბნის კომისიებს არ მოუწევთ შეცდომების გასწორება არჩევნებამდე

რამდენიმე დღით ადრე და ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას.

3. ფაქტი: IRI-ის მისიამ შენიშნა დეზორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობდა დაძაბული პოლიტიკური გარემოს შექმნას, რაც უმთავრესად განპირობებული იყო საარჩევნო კოდექსში არსებული ნაკლოვანებებით. კოდექსში არის ადგილები, რომლებიც ნათლად და ამომწურავად არ განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ქმედებებს საარჩევნო უბნებზე და ზუსტ საზღვრებს საარჩევნო უბნების გარშემო სადაც დაშვებულია სააგიტაციო ქმედებები.

რეკომენდაცია: სამომავლოდ არჩევნების დღეს სათანადო გარემოს უზრუნველსაყოფად საარჩევნო უბნის შიგნით და მის გარეთ ტერიტორიაზე პარლამენტმა უნდა დააზუსტოს საარჩევნო კოდექსის ის ნაწილები, რომლებიც დაკავშირებულია პარტიების წარმომადგენლების უფლებებსა და შეზღუდვებთან კენჭისყრისა და ხმის დათვლის დროს მათი საუბნო ობიექტებში ან მის ტერიტორიაზე ყოფნასთან დაკავშირებით. პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ასევე უნდა დააზუსტოს საარჩევნო უბნების ზუსტი ტერიტორიული საზღვრები, რათა ნათელი გახდეს კონკრეტულად სად ჩაატარებენ ან სად აეკრძალებათ პარტიებს არჩევნების დღეს საარჩევნო აგიტაცია.

4. ფაქტი: IRI-ის მისიამ შენიშნა პროფესიონალიზმის ნაკლებობა როგორც არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციის მიერ

არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ზოგადად საარჩევნო გარემოსთან მიმართებაში. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა და კომისიის სხვა წევრებმა გამოავლინეს მოუძაადებლობა და წესებისა თუ კანონების არასათანადო ცოდნა, განსაკუთრებით კი ხმების დათვლის დროს. ამავე დროს მეთვალყურეებმა აღნიშნეს, რომ საარჩევნო უბნების ნახევარი არ თბებოდა და არ ჰქონდათ შესაბამისი საპირფარეშო ოთახები და ნაშუადღევს ამომრჩეველთა გრძელი რიგები ქმნიდა არასახარბიელო გარემოს როგორც ამომრჩეველთათვის, აგრეთვე კომისიის წევრებისათვის. გარდა ამისა IRI-მ აღნიშნა, რომ ცესკომ თითოეულ საარჩევნო უბანს გადასცა ფაქსის აპარატი ოქმების დროულად გადაგზავნის მიზნით, თუმცა ბევრმა საარჩევნო კომისიის წევრმა ვერ შეძლო მისი გამოყენება, რადგან სატელეფონო ხაზები დაზიანებული იყო (რაც არ იყო წინასწარ შემოწმებული) ან მათ არ იცოდნენ ფაქსის აპარატის გამოყენება.

რეკომენდაცია: იმისთვის, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი არჩევნების დღეს თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად, IRI გირჩევთ 2008 წლის გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ტრენინგი ჩაუტარდეთ საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებსა და კომისიის წევრებს. ამ ტრენინგებზე ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი საარჩევნო კომისიის წევრების პასუხისმგებლობების ზოგადი მიმოხილვა და აგრეთვე საარჩევნო კოდექსში შეტანილი უახლესი შესწორებები და ამ ცვლილებების

გაგლენა საარჩევნო კომისიის წევრების მუშაობაზე. თითოეული საარჩევნო უბნიდან კომისიის წევრების განსაზღვრული პროცენტის აუცილებელი მონაწილეობის მოთხოვნა ესეთი ტიპის სატრეინინგო პროგრამაში გააუმჯობესებს პროფესიონალურ გარემოს საუბნო საარჩევნო კომისიებში. გარდა ამისა, IRI გირჩევთ, რომ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა გაიარონ ტრეინინგი ფაქსის აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუ ისინი გამოყენებული იქნება ოქმების გადასაგზავნად. საბოლოოდ ცესკომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი შენობა-ნაგებობები, სადაც ადგილობრივი კომისიის წევრები სათანადოდ განახორციელებენ თავიანთ საარჩევნო ვალდებულებებს.

5. ფაქტი: IRI-ის სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა ორი პრობლემა, რომელიც უკავშირდება მრავალჯერადი ხმის მიცემის ასაცილებლად უხილავი შესასხურებელი სითხის გამოყენებას: (1) სითხე ადვილად გადადის სხვა ადამიანებზე ხელის ჩამორთმევის მეშვეობით და ადვილად შორდება; (2) საარჩევნო კომისიის წევრები უყურადღებოდ ამოწმებდნენ სითხეს ამომრჩევლების ხელებზე საარჩევნო უბანზე შესვლის დროს.

რეკომენდაცია: იმის უზრუნველსაყოფად, რომ სითხის გამოყენებით თავიდან აცილებულ იქნას ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა უბანზე ხმის მიცემა, 2008 წლის გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებამდე ცესკომ უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები: (1) შეიძინოს ახალი ქიმიური სითხე და გამოსცადოს

ამ სითხის ეფექტურობა ადამიანების ხელებზე; (2) უზრუნველყოს ის, რომ კომისიის წევრები გაივლიან შესაბამის ტრაინინგს სითხის ამომრჩევლის ხელზე დასხმასა და შემოწმებაში, როდესაც იგი შემოვა საარჩევნო უბანზე. იმ შემთხვევაში, თუ ცესკო დაადგენს, რომ სითხის გამოყენების სისტემა არაეფექტურია, მან უნდა ამოიღოს სითხის გამოყენების წესები საქართველოს საარჩევნო კოდექსის საარჩევნო დღის პროცედურებიდან.

6. ფაქტი: IRI-ის სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა, რომ საარჩევნო წევრები არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას საარჩევნო უბნებში ვიდუო კამერების დანიშნულებისა და გამოყენების შესახებ.

რეკომენდაცია: ვიდუო კამერების დანიშნულება ზუსტად უნდა განემარტოს საზოგადოებას. გარდა ამისა, საარჩევნო კომისიის წევრებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ასეთი ვიდუო კამერების დანიშნულებასთან, ფუნქციონირებასთან და აგრეთვე იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც მათ უნდა განახორციელონ ვიდუო მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

7. ფაქტი: IRI-მ აღნიშნა, რომ არ არსებობდა საკმარისი ნდობა სასამართლო სისტემისადმი. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მთლიანი პერიოდის განმავლობაში არც პოლიტიკურ ოპოზიციას და არც კერძო პირებს არ გააჩნდათ სასამართლოების მიმართ საკმარისი რწმენა, რომ ისინი იმოქმედებენ მიუკერძოებლად და აპოლიტიკურად. ვინაიდან სასამართლო რეფორმა

და საკანონმდებლო ნორმების გაუმჯობესება უნდა გახდეს ქვეყნის გრძელვადიანი ამოცანა, ამ პროცესში წინგადადგმული ნაბიჯები ნათლად უნდა წარმოჩნდეს 2008 წლის გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებამდე.

რეკომენდაცია: IRI-ის რეკომენდაციით პარლამენტმა უნდა გაზარდოს საოლქო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრების ვადები. უფრო მეტიც, საქართველომ უნდა უზრუნველყოს კანონის უზენაესობის და სასამართლო განხილვების საიმედო ტრადიციის დამყარება. გარდა ამისა, პრეზიდენტმა და პარლამენტმა უნდა უზრუნველყონ კანონის უზენაესობის პრიორიტეტულობა, სასამართლოები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და აპოლიტიკურები, იცავდნენ კონსტიტუციას და საქართველოს და მის მოქალაქეებს ყოველგვარ კანონს ამოფარებული უზნეობისაგან.

V. დანართები

ა. IRI-ის წინასწარი განცხადება

გასაგრძელებლად
6 იანვარი 2008

**საპრეზიდენტო არჩევნები სავსებით აკმაყოფილებს
საერთაშორისო სტანდარტებს:
საჭიროებს ტექნიკურ გაუმჯობესებებს**

თბილისი, საქართველო – აშშ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) მხარს უჭერს დემოკრატიის განვითარებას მსოფლიოს 70 ქვეყანაში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი ხელს უწყობს საქართველოში პოლიტიკური პარტიების განვითარებას და ბოლო სამ არჩევნებზე ატარებდა სადამკვირვებლო მისიას.

IRI-ის სადამკვირვებლო მისია თვლის, რომ 2008 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები სავსებით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, ტექნიკური პრობლემები კვლავ ზეგავლენას ახდენს საარჩევნო პროცესზე. დელეგაცია მოუწოდებს მთავრობას იმუშაოს ყველა პოლიტიკურ სუბიექტთან ოპოზიციური პარტიების ჩათვლით იმისთვის, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთობლივად გადაწვიტონ ეს საკითხები.

მიუხედავად იმ დაძაბულობისა, რომელიც გამოწვეული იყო ნოემბრის მოვლენებით, წინასაარჩევნო პერიოდი იყო კონკურენტუნარიანი და მიმდინარეობდა ძალადობის გარეშე. დელეგაცია მიესალმება იმ ძალისხმევას, რომელიც გამოიჩინა ყველა კანდიდატმა

საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველთან ინტენსიური შეხვედრებით, კარდაკარ პროგრამით და საარჩევნო კამპანიის წარმართვით იმ საკითხების ირგვლივ რომელიც ზეგავლენას ახდენს საქართველოს მომავალზე.

IRI ულოცავს საოლქო და საუბნო საარჩევნო ადმინისტრაციას არჩევნების დღეს უბნებზე წყნარი და ორგანიზებული ატმოსფეროს შექმნას. IRI აგრეთვე ულოცავს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს და კანდიდატებს ხმის მიცემის და დათვლის პროცესის დროს წყნარი და მშვიდობიანი ატმოსფეროს შენარჩუნებას.

უპირველეს ყოვლისა მისასალმებელია საქართველოს მოქალაქეების მიერ მათი საკონსტიტუციო საარჩევნო უფლების გამოყენება მიუხედავად რთული მეტეოროლოგიური პირობებისა.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა ასპექტები, ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემები მაინც რჩება ბევრი პოლიტიკური სუბიექტის განხილვის საგნად. იმ დროს როდესაც IRI მიესალმება მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ამომრჩეველთა სიების გასაუმჯობესებლად, აუცილებელია ამ პროცესის დასრულება საპარლამენტო არჩევნებამდე.

სასამართლო სისტემის შესაძლებლობა იფუნქციონიროს დამოუკიდებლად და ობიექტურად გადაწყვიტოს საარჩევნო დავები ბადებდა კითხვებს საარჩევნო სუბიექტებში.

დელეგაცია მოუწოდებს ახალ ადმინისტრაციას პარლამენტთან ერთად ჩაატაროს იურიდიული რეფორმა და პრიორიტეტად დასახოს კანონის უზენაესობა, რათა გაგრძელდეს დემოკრატიული რეფორმები საქართველოში.

IRI-ის დელეგატებმა დააფიქსირეს უცნობი პირების ყოფნა რამოდენიმე საარჩევნო უბანზე, რომლებიც ამომრჩევლისგან ითხოვდნენ მათ გეარს და ნომერს საარჩევნო სიაში. საქართველოს პარლამენტმა უნდა შეიტანოს ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, რომელიც აკრძალავს ასეთ ქმედებებს, რადგან სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ ეს შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული როგორც ზეგავლენის მოხდენის მცდელობა ამომრჩეველზე.

IRI გამოაქვეყნებს დეტალურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს დასკვნებს და რეკომენდაციებს.

IRI-ის 26-კაციანი სადამკვირვებლო მისიაში იყვნენ წარმომადგენლები ჩეხეთის რესპუბლიკიდან,ლიტვიდან, ნორვეგიიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. IRI-ის სადამკვირვებლო მისიამ მონიტორინგი ჩაატარა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის, იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის რეგიონების და თბილისის 120-ზე მეტ საარჩევნო უბანზე.

IRI-ის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ბატონი ჯიმ კოლბი – IRI-ის დირექტორთა საბჭოს წევრი, ყოფილი კონგრესმენი არიზონას მერვე ოლქიდან. დელეგაციის წევრები აგრეთვე იყვნენ: ჯეოფ კონორი – ტეხასის ყოფილი სახელმწიფო მდივანი,

აგრეთვე თანადამფუძნებელი და თავმჯდომარე CACH Capital Management; ურზულა გაჩეკი – ევრო-პარლამენტის წევრი პოლონეთიდან; ბილ გრემი – Shenandoah Capital LLP-ის დამფუძნებელი; მარეკ ჰანიბალი - ევრო-პარლამენტის წევრი ჩეხეთის რესპუბლიკიდან; ელჩი სტეფან მინიქსი – IRI-ის დირექტორთა საბჭოს წევრი და ეუთოს ყოფილი ელჩი; ეირიკ მოენი – საერთაშორისო დემოკრატთა კავშირის გენერალური მდივანი; ბილ ფილიპსი – ბილ ფილიპსის კომპანიის დამფუძნებელი; ანდრეი შევჩენკო – უკრაინის პარლამენტის წევრი; და მარკ სპრადლი – Mazao Capital LLC-ს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი.

არჩევნებს აგრეთვე აკვირდებოდნენ და მისიას ესმარებოდნენ IRI-ის წარმომადგენლები. მათ ხელმძღვანელობდა IRI-ის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ფურიოლი და IRI-ის ევრაზიის დეპარტამენტის რეგიონალური დირექტორი სტივენ ნიქსი.

1998 წლიდან IRI მუშაობს პოლიტიკური პარტიების გასაძლიერებლად საქართველოში როგორც მთლიანი ქვეყნის, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე. IRI აგრეთვე მუშაობს ახალგაზრდებთან და ქალებთან, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. ამის გარდა IRI ატარებს სოციოლოგიური აზრის ფართო გამოკითხვებს მთელ ქვეყანაში – 2007 წლის ნოემბერში ჩატარდა ბოლო გამოკითხვა.

1983 წლიდან აშშ საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) მონიტორინგი გაუწია 130-ზე მეტ არჩევნებს.

ბ. არჩევნების სადამკვირვებლო დელეგაციის წევრები

დელეგატები

1. პატივცემული ჯიმ კოლბი - IRI-ს სდრექტორთა საბჭოს წევრი და არიზონის მერვე ოლქის ყოფილი კონგრესმენი
2. ჯორჯ ფურიოლი – IRI-ის სტრატეგიული დაგეგმარებისა და შეფასების ვიცე-პრეზიდენტი
3. ჯეოფ კონორი - ტეხასის შტატის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, აგრეთვე დამფუძნებელი და თავჯდომარე, CAC Capital Managment LLC
4. ურზულა გაჩეკი - ევროპარლამენტის წევრი, ევროპის სახალხო პარტია – პოლონეთი
5. ბილ გრემი - დამფუძნებელი, Shenandoah Capital LLC
6. მარეკ ჰანიბალი - ევრო პარლამენტის წევრი, პრეს-მრჩეველი, ჩეხეთის რესპუბლიკა
7. ელჩი სტეფან მინიქსი - IRI-ს დირექტორთა საბჭოს წევრი და ეუთოს ყოფილი ელჩი
8. ეირიკ მოენი - საერთაშორისო დემოკრატთა კავშირის გენერალური მდივანი
9. ბილ ფილიპსი - დამფუძნებელი, Bill Phillips Company
10. ანდრეი შევჩენკო - უკრაინის პარლამენტის წევრი
11. მარკ სპრედლი - აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი, Mazao Capital LLC

IRI-ის თანამშრომლები

1. ჯორჯ ფურიოლი – IRI-ის სტრატეგიული დაგეგმარებისა და შეფასების ვიცე-პრეზიდენტი

2. სტეფან ნიქსი - IRI-ის ევრაზიის დეპარტამენტის რეგიონალური დირექტორი
3. ნატალია ბრენტლი, პროგრამის ასისტენტი, უკრაინა და მოლდოვეთი
4. ენტონი ჩანგი, ევროპის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
5. მაიკლ დრაკმანი, პროგრამის ასისტენტი, სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი
6. მაიკლ გეტო, დირექტორი, რეგიონული საპარლამენტო პროგრამა, ლიტვა
7. ქრის ჰოლზენი, პროგრამის დირექტორი, ერაყი
8. რიტა ჯონატაეტი, პროგრამის თანამშრომელი, ლიტვა
9. ჯეიკ ჯონსი, პროგრამის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, აზერბაიჯანი
10. ანდრეა კერბსი, პროგრამის ოფიცერი, უკრაინა
11. ელიზაბეტ ნაიტი, პროგრამის ოფიცრის ასისტენტი, უკრაინა და მოლდოვა
12. პრესტონ ლინდლერი, პროგრამის ასისტენტი, ბელორუსია, რუსეთი და კავკასია
13. ბრაიან მეფორდი, პროგრამის დირექტორი, უკრაინა
14. მეგან რედი, პროგრამის ასისტენტი, ცენტრალური აზია
15. დიმიტრი შაშკინი, პროგრამის დირექტორი, საქართველო
16. მაკა შენგელია, ქალთა პროგრამის კოორდინატორი, საქართველო
17. ლადო რაზმაძე, პროგრამის ასისტენტი, საქართველო
18. ალექს იუნაზი, პროგრამისტი

გ. IRI საქართველოში

IRI მუშაობს საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის გასაძლიერებლად 2003 წლის დეკემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ. რევოლუციის, რომლის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პოლიტიკური პარტიების პლურალიზმი საქართველოში დადგა გამოწვევების წინაშე მას შემდეგ, რაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა ბევრი გამოცდილი პარტიული კადრი როდესაც ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში რევოლუციის შემდეგ. IRI მუშაობს ყველა წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან და ცდილობს შექმნას ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი, მრავალპარტიული სისტემა საქართველოში.

ვარდების რევოლუციამ აქტიურად ჩართო ქალები და ახალგაზრდები საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში. 2002 წლის აპრილიდან IRI მუშაობდა ქალთა და პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, რათა ჩაერთო ისინი პოლიტიკურ პროცესებში. IRI-ს სურს გაზარდოს ამ ჯგუფების როლი პოლიტიკურ არენაზე ტრენინგებისა და გაცვლითი პროგრამების მეშვეობით 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე.

გარდა ამისა, IRI მთლიანი ქვეყნის მასშტაბით ატარებს ყოველკვარტალურ ამომრჩეველთა გამოკითხვას საქართველოში, რაც პოლიტიკურ პარტიებს ეხმარება გაეცნონ იმ საკითხებს, რომელიც ქართველი ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გამოკითხვის ანგარიში პოლიტიკურ პარტიებს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას დემოგრაფიულ ჯგუფებისა და რეგიონული საკითხების შესახებ, რაც

ხელს უწყობს მათი პარტიული გეგმების შემუშავებას და მესიჯის შექმნის პროცესის დახვეწას.